

**„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით
გათვალისწინებული შეღავათები**

- ✓ ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან; მეწარმე პირი მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსით თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადებისგან (საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პირობებით), ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან;
- ✓ პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისთვის 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად არანაკლებ 100 ლარი, მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისთვის - 2 წლის განმავლობაში არანაკლებ 200 ლარი. ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან;
- ✓ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებისა და მრავალსექტორიანი საჯარო სკოლებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებზე ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით გაცემა. ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან;
- ✓ ყოველთვიური დანამატი პენსიაზე არანაკლებ 20% და სოციალური პაკეტის 20%. ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან;
- ✓ ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის ღონისძიებები. ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან;
- ✓ საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35%, პროფსასწავლებლებში - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%; სპეციალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლისათვის - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%. ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან;
- ✓ დანამატი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძვნებულ და მის მართვაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების ექიმისათვის - სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით; ექთნისათვის - სახელმწიფო პენსიის ოდენობით. ამოქმედდება 2016 წლის 1 სექტემბრიდან;
- ✓ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მაღალმთიან დასახლებაში მდებარე კერძო სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისთვის შეღავათების თაობაზე წინადადებების მომზადება 2017 წლის 1 იანვრამდე;

- ✓ საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის (არაუმეტეს 100 კვტ.სთ) ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება. ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან;